# ნაკადული

№ 23

მცირე წლოვანთათვის.—დეკემბერი.




1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—ბეღურას ჩივილი,—ლექსი, ი. ევდოშვილისა ........ 3

II—პრინცესა,—განდეგილისა ........................ 4

III—მელია და მეწისქვილე,—(ხალხური ზღაპარი)—ა. შან-
შიაშვილისა ........................ 8

IV—თიხის პატარა ნატეხის ამბავი,—(რუსულით) ელ.
ანტონოვსკისა ........................ 13

V—ვისთვის მწიფდება გარეული ხილი,—(ვაგნერიდან)
დ. ყიფიანისა ........................ 17

VI—ვირის თავგადასავალი.—XXIII ცვლილება,—(ფრან-
გულით) ან. ამილახვრისა ........................ 20

VII—რებუსი და ახსნა ........................ 24




წლიწადი მე-V. № 23 დეკემბერი 1909 წ.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი



ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—ბელურას ჩივილი,—ლექსი, ი. ევდოშვილისა . . . . . . . . 3

II—პრინცესა,—განდეგილისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4

III—მელია და მეწისქვილე,—(ხალხური ზღაპარი)—ა. შანშიაშვილისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8

IV—თიხის პატარა ნატეხის ამბავი,—(რუსულით) ელ. ანტონოვსკისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 13

V—ვისთვის მწიფდება გარეული ხილი,—(ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 17

VI—ვირის თავგადასავალი.—XVIII ცვლილება,—(ფრანგულით) ან. ამილახვრისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20

VII—რებუსი და ახსნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბელურას ჩივილი

ვაი ჩემს თავს უბედურსა,
უსაშველოს ამ ზამთარში!
ნეტა როგორ გავყო თავი
უმოწყალოძ გარედ კარში?!

თოვლი მოდის, მალზე ჭყინავს,
არც საფარი, არც სამოსი;
არა მაქვს-რა, ღვთის ამარა
დავრჩი ასე შესამოსი.

ყვავ-ყორანნო, დაიტირეთ,
სადა ჰნახოთ, ჩემი ლეში;
ან მიმსხვერპლებს კაკანათი,
ან სიცივე სადმე ღრეში!

ასე მოსთქვამდა ბელურა,
თოვლი ცრემლებად სდიოდა;
მისი მოთქმა და ტირილი
მთას იქით გადადიოდა!

ი. ევდოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პრინცესა



ნუცა, ნუცა! აქმო, რა გითხრა! — გასძახა თინამ თავის ამხანაგ ნუცას და ერთი ხალისიანად შეკუნტრუშდა აივანზე.

— რას მეტყვი? — სიხარულით ამოსძახა კიბეზე ამომავალმა ნუცამ და საჩქაროდ მიცუნცულდა თინასთან.

— რასა და იცი, ნუცა, წუხელ მია მიშომ ისეთი მშვენიერი დედოფალა მომიტანა საჩუქრად, ისეთი მშვენიერი, ისეთი, რომ... აბა, წამო, გაჩვენო! და ამ სიტყვასთან ხელი ჩაავლო ნუცას, რომელიც აღტაცებული გაჰყვა თინას ოთახისაკენ.

— ოჰ, რა მშვენიერია, როგორ აჭყეტს თვალებს! შენ გენაცვალე, ჩემო მშვენიერო! — ეალერსებოდა თინა და თითონაც ფართოდ აჭყეტდა თვალებს.

— ოჰო-ჰო-ჰო!.. ეს-კი მართლა მშვენიერია! ეს ქეთოსაც სჯობია, ლიზასაც, თამროსაც და მაშოსაც... შეხე, რა წითელი ლოყები აქვს, რა მშვენიერი წარბები... — ამბობდა გახარებული ნუცა და ჰაერში აპრიწიალებდა თინას ახალს დედოფალას.

— ტუჩებს უუურებ, ტუჩებს, თინა? კიჭები, კიჭები,
შენ-კი გენაცვალე... იმასდნენ პატარა გოგონები და ხან ერთი იკრავდა გულში ლამაზ დედოფალას და ხან მეორე.

— ახლა მაგას რაღას არქმევთ სახელად, თქვე თხუნელებო, თქვენა? წაულაპარაკა ბავშვებს სამზარეულოსაკენ მიმავალმა თინას დედამ.

— მართლა, ნუცა, რა დავარქვათ?—შეეკითხა თინა თავის ამხანაგს.

— ქეთო, ლიზა, თამრო და მაშო გვყავს; მაგას-კი სხვა რამ ისეთი სახელი გამოუძებნოთ, რომ ჯერ არც ერთს არა რქმეოდეს...—ურჩია ნუცამ.

— მერე რა სახელი გამოუძებნოთ? —შეეკითხა თინა ცოტა ჩაფიქრების შემდეგ.

— რა დავარქვათ? — კითხვითვე უპასუხა ნუცამ.

— რა დავარქვათ და თალიკო,—წამოიძახა თინამ.

— იი, ვის ეკადრება!—წყენით მიუგო ამხანაგმა—თალიკო ხომ მღვდლიანთსა რომ მოსარეცხე დადის, იმის კოჭლ-გოგოსა ჰქვიან. მაგას ისეთი სახელი უნდა დავარქვათ, რომ... მოიცა, მოიცა... იცი, რა გითხრა— მაგას დავარქვათ, პრინცესა.

— შენ კი გენაცვალე, ნუცა,—მოეხვია გახარებული თინა,— აი სწორედ ეგ სახელი შეჰფერის ამას.— შენ ახლა პლინჩემა ხალ, გენაცვალე—უქცევდნენ ქნას ბავშვები და ეალერსებოდნენ დედოფალას.

— რაო, პრინცესაო? სხვა სახელი-კი აღარ აკადროთ!— სიცილით გამოსძახა თინას დედამ სამზარეულოდან.

— ჰო, დედა, განა არ შეიძლება პრინცესა დავარქვათ! ნუცამ აურჩია ეს სახელი და მეც მალიან მომწონს. პრინცესაა, მაშ!

— რატომაც არ შეიძლება. ნათლიად ხომ ნუცა იქნება, არა? უთხრა დედამ და გამოვიდა გარედ.

ეროვნული

— მართლა, ნუცა, მოდი შენ მონათლე პრინცესა,—ჯერ ხომ არც ერთი დედოფალა არ მოგვინათლავს. სხვებს არ უნდა, მველებია, ეს კი ახალია და ნათლობა გავმართოთ, ისე როგორც ბავშვებსა ნათლავენ ხოლმე.

— მალიან კარგი. თავმომწონედ დაეთანხმა ნუცა.

ათის წუთის შემდეგ დიდ ამბავში იყვნენ ჩვენი პატარები. ამათ ხუთიოდე სხვა გოგონაც მიემატა და ნამდვილ სამზადისს შეუდგნენ ნათლობისათვის. ოთახის ერთს კუთხეში გამოაწყეს ყველა სათამაშო: პატარა სამოვარი თავის ფინჯნებითა და საჩაიეთი, სხვა და სხვა ბურთები, ქაღალდის ყუთები, პატარა ქოლგა, მარაო, პაწაწა სკამი და ათასი სხვა რამ. ცალ მხარეს დაასკუპეს დედოფლები, მეორე მხარეს გაშალეს მათი ბარგი-ბარხანა და ლოგინები, ხოლო პრინცესასთვის კი განსხვავებული ლოგინი მოამზადეს, არშიებითა და ლენტებით მორთული.

როცა ყველაფერს ამას მორჩნენ, თინამ მოიტანა სხვა და სხვა ხილი და შაქარლამები, რომელიც დედამ მისცა, და ბავშვები დინჯად და რიგ-რიგად ჩამომწკრივდნენ იატაკზე.

— თინა, განა მართო ეს არის ნათლობა? წყალში კი არ უნდა ჩავსვათ პრინცესა, ისე როგორც ამ წინაზე ჩვენი პატარა დათიკო მონათლეს?—დინჯად წარმოსთქვა ნუცამ.

— მაშა, მაშა?!—ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა,—აი, ამ ხილის ვაზაში მოვნათლოთ. გახადე, თინა, კაბა...

— ამ წუთას!...—წამოიძახა თინამ და ტყვიასავით გავარდა სამზარეულოსაკენ, საიდანაც დიდის სპილენძის თასით ცხელი წყალი მოარბენინა.

— აი, ამას ჰქვიან ნამდვილი ნათლობა!—ამაყად სთქვა ნათლია-ნუცამ. ლამაზი დედოფალა ნაზად ჩააყურყუმელავა ცხელი წყლით სავსე თასში.

— ნუცა, ნუცა, ამოიღე ჩქარა, ფერი დაეკარგა, გაფითრ-

და!.. დედა, დედა, მგონი გული უღონდება!..—სასოწარკვეთილებით იძახდა თინა.

შეშინებულმა ნუცამ საჩქაროდ ამოიღო დედოფალა, მაგრამ ერთი ისეთი დაიღრიალეს გულდაწყვეტილმა ბავშვებმა, რომ თინას დედა სირბილით გამოიჭრა, ხომ არა დაუშავდათ რაო.

ბავშვებს არა დაშავებიათ რა, მაგრამ ახლად მონათლულ პრინცესას მთლად გადასცლოდა ცხელ წყალში ლამაზად მოპრიალე საღებავი და უშნოდ დათხუპნილ სახეზე მხოლოდ დაკრეჭილი კბილები მოსჩანდა და შუშის თვალები-ღა იჭყიტებოდა საცოდავად.

ნუცამ და თინამ დიდხანს ვერ დაივიწყეს თავიანთი საყვარელი პრინცესა და მას შემდეგ აღარც ერთი დედოფალა აღარ მოუნათლავთ.

განდეგილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მელია და მეწისქვილე

(ხალხური ზღაპარი)

## ნაწილი პირველი

### I



ეს ზამთარი,
მკაცრი, საზარი.
გარედ ცივოდა.
მელას ჰშიოდა,
იტანჯებოდა,
ვერსად ეპოვა
გამოსაკვები
და ევსებოდა
ცრემლით თვალები.

### II

მაღალ მთის ძირას,
სოფლის ნაპირას
მეწისქვილესთან ძლივს მიცუნცულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულით შესთხოვა, გამიკითხეო.
ვფიცავ, ბედსა გწევ, დაგეხმარები,
თუ კი საფლავს არ დავიმარხეო.
ვიცი, შინა გყავს სამი დედალი:
თეთრი, შავი და ერთიც ნაცარა;
ღმერთმა სხვაც მოგცეს სამწყსოდ, საზრუნვად
თხა და ციკანი წვერებ-ცანცარა!
გლეხს შეებრალა, მისცა დედალი,
კარგად ნაკვები, გასუქებული;
მშიერმა მელამ სწრაფად გამოხრა
და გზას გაუდგა გახარებული.

III

გავიდა ხანი. კიდევ მოჰშივდა,
კვლავ მეწისქვილეს მიადგა კარზე;
თუ გამიკითხავ, გაგხდი შენ ერთსა
ბედნიერ კაცად მთელს დუნიაზე.
და მეწისქვილემ არ დააყოვნა,
მისცა მეორე შავი დედალი;
გაძღა მელია, გამოეთხოვა,
მოკლედ ეჩვენა შორი სავალი.

IV

კიდევ მოჰშივდა მესამედ მელას,
მივიდა სუსტი, მეტად ფერმკრთალი;
უთხრა: მესამეც, მოდი, მაჩუქე,
აგრემც გიშველის მაღლა უფალი.
მისცა დედალი,
ტკბილად გამოხრა,
გაძღა მელია,
მადლობა უთხრა,
წავიდა, განვლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარა გრძელია.
გზაზედ ფიქრობდა,
გულში ამბობდა,
სამაგიეროს გადაუხდიო
კეთილი კაცი ღმერთმა აცოცხლოს,
დალახვროს ფლიდი,
გულით მრუდიო.

V

დაუსვენებლად
ბევრი იარა,
მთა და კლდეები
გადაიარა.
მიუახლოვდა
მეფის სასახლეს.
ვეზირთ მელია
მეფეს ხასლეს.

VI

წარსდგა მელია და მოწიწებით
ჰკადრა: მე გეტყვით კარგ ამბავსაო;
დასავლეთისა მეფე განთქმული
თხოულობს თქვენსა ლამაზს ქალსაო.
მისცემთ თუ არა, რას დამაბარებთ?
მეფე დაფიქრდა და მოახსენა:
თუ სიმე მომგვრის შვლის და ირმის ჯოგს,
მაშინ გვექმნება ჩვენ ყველას ლხენა
და ჩემი ქალიც
მას მისთხოვდება,
დიდი ქორწილი
გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# VII

გამოეთხოვა მელია მეფეს,
გადაირბინა ტყე-მინდორ-ველი;
შესდგა ღელესთან, მორთო კივილი,
თავზარდამცემი და საზარელი.
შემოეხვია
ჯოგი ირმისა,
შუბლს დაღი აჩნდათ
ყველას შიშისა.
— რა დაგემართა?
ეკითხებიან.
— გვითხარი ჩქარა!
ეხვეწებიან!
მელა ატყუებს
და თახ აშინებს:
ვნახე მრავალი
მონადირეო;
გზები შეუკრავთ,
ირმები, შვლები
ბევრი მოუკლავთ,
გადარჩენიათ
ძლიერ მცირეო.
და, აბა, ჩქარა
თქვენ თავს უშველეთ.
მწარე სიკვდილსა
მე გადაგარჩენთ!
სადაც წავიდე,
მომყევით ყველა,
გაჭირვებულთა
მე მალმიძს შველა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და წინ ირმის ჯოგს
გაუძღვა მელა.
ურჩია შესვლა
მეფის ბოსელში,
ყველა ჩააგდო
დიდს განსაცდელში.
ასე დაჭმართა
მელამ შვლის ჯოგსაც.
მეფე თვის სიმეს
აქებს, ადიდებს
და საქორწილოდ
ქალსა ამზადებს!

**ა. შანშიაშვილი**

(დასასრული იქნება)



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# თიხის პატარა ნატეხის ამბავი

(რუსულით)

შვენიერი ნათელი ღამე იყო. მთვარის შუქი სქელ ფარდიდგან შედიოდა დიდ საყმაწვილო ოთახში. შუქის სხივებმა მიითამაშ-მოითამაშეს და ის იყო უნდა გასულიყვნენ, რომ უცბად ყველაზედ პატარა სხივმა, რომელიც სულ უკან ბნელ კუთხეს მიადგა, უჩურჩულა სხვებს: „ძმებო, აქ საყურადღებო ამბები მესმის, ყური დაუგდოთ!" ერთ წამში სხივები განიერ ზოლებად გაწვნენ იატაკსა და კედლებზე და ყური მიუგდეს.

სათამაშოების ერთის კუთხიდგან, სადაც ყოველნაირი სათამაშო ელაგა, ისმოდა მხიარული ხმა: „ბატონებო!" ყვიროდა ჭარხალივით გაწითლებული პეტრუშკა, „მე ჩემს სიცოცხლეში ბევრი რამ მინახავს! გიამბობთ გასართობად ჩემს ამბავს, თორემ, ღმერთმანი, სულ სხვისა ხელში სათამაშოდ გდება გაგვასულელებს. თანახმა ხართ? მაშ, დავიწყობ."

— უთუოდ თქვენ რად უნდა დაიწყოთ? უთხრა ამპარტავანმა დედოფალმა მოკაზმულმა რუსულ ტანისამოსით, რითაც დიდად თავი მოსწონდა.

— იმიტომ, რომ შენზედ ჭკვიანი ვარ! გააწყვეტინა სიტყვა წიწლაკა პეტრუშკამ.

— ნეტა რისთვის ჩხუბობთ? სულ ერთი არ არის, ვინც უნდა გვიამბოს, ოღონდ კარგი ამბავი იყოს, — წამოერია ფაიფურის პატარა მაღლი.

— არა, სულ ერთი რად იქნება, წაიბურთხუნა კატა ლინამ, რომელსაც მალიან უყვარდა წინააღმდეგობა.

„ხა-ხა-ხა,“ გაიცინა მოხუცმა საშობაო პაპამ, „რა უცნაურები არიან! გააბმენ ჩხუბს და დილამდინ არც ერთ ზღაპარს არ მოგვასმენინებენ; მე მგონია, ყველას მოგვწყინდა ერთისა და იმავეს ყურის გდება. სჯობს ერთ-ერთ ჩვენს მეზობელს ვთხოვოთ, ახალი რამ გვიამბოს.“ და მიუთითა კამოდზედ, რომელზედაც მეტად ლამაზი სათამაშო ჩაის იარაღი იდგა.

— პაპა, შენ მართალი ხარ! — დაეთანხმნენ ყველანი და მიბრუნდნენ მეზობლებისაკენ, მხოლოდ პეტრუშკა ისევ ისე იჯდა და ბურტყუნებდა.

— თუ ღმერთი გწამთ, გვიამბეთ ან საიდგან მოხვედით და ან რა გაქვთ ნანახი? ჩვენ აქ ლამის დავობდეთ, ზოგნი ჩვენგანნი მთელის წლობით შინა ვართ დამწყვდეულები, სთქვეს სათამაშოებმა.

ფინჯნებმა დარცხვენით თავი დაუკრეს საზოგადოებას, ნაზად წკარა-წკური შეჰქნეს და დაიწყეს ლამაზ კილოიან ხმაზედ: „თუ ნებას გვიბოძებთ, დიდის სიამოვნებით! მაგრამ რადგან ყველასაგან ერთად მბობა მოუხერხებელია, ჩვენგ:ნმა ერთმა სთქვას, მით უფრო, რომ ყველა ჩვენგანის ამბავი ერთი მეორესაგან არც კი გაირჩევა.

მსმენელნი რიგზედ დასხდნენ და პატარა ფინჯანმა, ცოტა ფიქრის შემდეგ, დაიწყო: „ერთ ჩქარ მდინარის პირზე იყო თიხის ორმო. ეს თიხა საუკეთესო იყო და არა უბრალო, — ისეთი, რომლისგანაც ჭურჭელს აკეთებენ. მე ჩემის და-მმით პატარ-პატარა გუნდებად ღრმათ ვიყავი ორმოში, ვნებივრობ-

დით იქ და ვთბებოდით ჩვენ ღვიძლ დედა-მიწასთან, ძალიან მხიარულად ვიყავით იმის გულში, ხშირად ჩამოგვიჩხრიალებდნენ გიჟმაჟი წყაროები, ჩამოცვიოდნენ წვიმის წვეთები; ერთნიც და მეორენიც ბევრ კარგს გვიამბობდნენ.“

— ერთხელ, ჩემ და-ძმასთან თამაშობის დროს, ვიგრძენ, რომ ჩვენ ერთად ვიღამაც აგვიტაცა რაღაც განიერ რკინით და ჩაგვყარა ჩვენისთანავე თიხით სავსე ურემში. „ოჰ, ოჰ, რა კარგია!“ ვყვიროდით ყველანი ურემში. „რა კარგია პირველად სინათლის დანახვა!“

— ურემი დაიძრა და დიდის ამბით წავედით. „ნეტა სად მივდივართ?“ იკითხეს ზოგმა ურმის ჯანჯღარით დაღლილებმა. ამ კითხვაზედ პასუხის მაგიერ, თითქოს განგებ, ურემი შედგა ერთ შენობასთან და ჩვენ ყველანი მოურიდებლად წყლით სავსე დიდ ქვაბში ჩაგვყარეს. წარმოიდგინეთ ჩემი შიში, როცა ვიგრძენ, რომ წყალში დავიშალე, მერე დიდი ჩაფით ამოგვიღეს და ჩვენისთანავე სითხესთან ჩაგვასხეს დიდ დოლაბის მაბრში. გონს ვერც კი მოვედით, რომ საფქველმა დოლაბებმა დაიწყეს ტრიალი, დაგვფქვეს, წვეტიანი კბილები ჩაუყარეს თიხას და სულ დაშალეს, თუ რამ სიმაგრე იყო. მერე მილებით ჩაასხეს ეს სითხე ხის ქვაბებში. აქ ცოტა დავისვენე, მაგრამ ახლა სულ სხვა ვიყავ. რაც კი რამ ერია თიხაში, სულ მომცილდა, მე სულ ზედა პირზედ მოვექეც, რბილი და ნაზი; ჩემ ქვეშ იყო უფრო მომსხო თიხა, იმის ქვეშ თიხა რკინაში არეული და სულ ძირს დაილექა ქვიშა. წინად სულ ერთად ვიყავით, ახლა კი განცალკევებული ნაწილები შეწუხებული ველოდით ჩვენს მომავალს. დიდ ხანს არ დაგვჭირდა ლოდინი...

— საწყლები! სთქვა ერთმა სათამაშომ.

— საწყლები! გაიმეორა პეტრუშკამ, გაშალა ხელები და სულელურად გაიღრიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ! — ამოიოხრეს ყველამ თანაგრძნობით.

— ცოტა რომ შევისვენეთ, — განაგრძო ფინჯანმა, — მოვიდა მუშა, გამოუშვა წყალი და დასჭრა მთელი თიხის ცომი ნაწილ-ნაწილად, ქვედა პირი უფრო მომხო ჭურჭელს უნდებოდა, ზედა პირი კი — მე — საუკეთესოს, სულ თხელსა და წმინდას.

— ხელოსანმა დამდვა რგვალ ტრიალა მაგიდაზედ, რომელსაც ფეხით ატრიალებდა, ხელებით კი ყოველ მხრიდან მალზე სტკეპნიდა, მანამ ფინჯანი არ გამოიყვანა. თავბრუ მეხვეოდა მეტის ტრიალით, ხან შევხურდებოდი და ხან მციოდა. ახლა მეორე მოვიდა და დანით დამიწყო სწორება, შევიქენ მეტად წმინდა, წმინდა.

— აი, ივან ვასილიჩ, მზად გახლავთ! — სთქვა იმან და გადამცა მესამეს. მესამემ მამაბა ლამაზი ყური.

— ამის შემდეგ ჩამსვეს სხვა რიგ მოყვანილ თიხის ქილაში და შემდგეს ღუმელში. ღუმელი თან და თან ხურდებოდა. მიკვირს, როგორ გაუძელ იმისთანა სიცხეს; მთლად ოფლმა დამასხა და წვეთ-წვეთად დამდიოდა. მუშებს უხაროდათ და ამბობდნენ:

— რა კარგადა შრება ეს ფინჯანი, ჰხედავ, რაც სისველე ჰქონდა, სულ გაჰქრა!

— ბოლოს გამომიღეს, რაღაც შეზავებული წამალი გადამასხეს და ისევ ღუმელში შემდგეს. როცა იქიდგან გამომიღეს, ჩემს თეთრ გვერდებზედ დაჰხატეს მინდვრის ყვავილები მწვანე ფოთლებით და დადგეს ჩემ გვარ ფინჯნებთან, ჩემს და-ძმასთან.

— როცა დავინახე, რომ პატარა თიხის ნაჭრიდგან ასეთი კოხტა და ლამაზები შევიქენით, სულ დამავიწყდა გამოვლილი ტანჯვა და ვხარობდი.

— მაღაზიაში, სადაც ჩვენ გაგვგზავნეს, დიდ ხანს არ დავყა-

ვით. ერთხელ იქ მოვიდა ჩვენი პატარა პატრონი და ჩვენ ერთად გვიყიდა. რა სიხარული გვქონდა!..

„ყიყლიყო!
„ყიყლიყო!
მე მაღლა ვყვირი
და მზეს ვაღვიძებ!“

დაიყივლა მახლობლად მკვეხარა მამალმა. მთვარის მკრთალი სხივები საჩქაროდ გაჰქრა და მათ მაგიერ სარკმელში შემოანათა მზის პირველმა სხივებმა. სათამაშოები თავ-თავის ალაგას დალაგდნენ, მხოლოდ პეტრუშკა დარჩა ხელებ გაშლილი, გაშტერებული და სულელურად დაღრეჭილი.

ელ. ანტონოვსკისა



# ვისთვის მწიფდება გარეული ხილი

(ვაგნერიდან)

ვისთვის მწიფდება ბუჩქებსა და ბალახებზე გარეული ხილი?— როგორ თუ ვისთვის?— რასაკვირველია ჩვენთვის! იტყვიან ბავშვები.— სრულებითაც არა!

მცენარენი ნოყიერ ხილს უპირველეს ყოვლისა თავიანთთვის იმზადებენ! ხილის მარცვლებში ჩამალული თესლია. თესლი-კი მცენარეთა შვილია. როდესაც თესლი მწიფდება, თავის მშობელ-მცენარეებს გაეყრება და თან მისი ნოყიერი ხორცი მიაქვს, რომ ახალგაზრდობის დროს უსაზრდოვოდ არ დარჩეს. მაგრამ რადგანაც ყოველ ბუჩქზე ბევრი გარეული ხილი მწიფდება, ამიტომაც ბავშვებსა და ყვავებს შეუძლიანთ, რამდენიც უნდა სჭამონ და, ამას გარდა, თავიანთ ჭყვირალა შვილებს ბუდეში წაუღონ. ხილი მაინც ბევრი დარჩება. მარწყვის ბუჩქები ყოველ მხრივ ღეროებს იკეთებენ, ასე ნახევარ ადლის სიგრძეზე. ამ მანძილზე ღეროები ფესვებს იდგამენ და მარწყვის ახალ ბუჩქებს აღმოაცენებენ და აი სწორედ ამიტომ, ერთი მარცვალიც რომ არ ჩამოვარდნილიყო სხვა ბუჩქებიდან და ახალი მცენარე არ აღმოცენებულიყო, ბავშვებს მაინც არხეინად ეყოფნა შეეძლოთ: ტყეში სხვა ხილის გარდა, ბევრი მწიფე, სუნნელოვანი მარწყვი დაუხვდებოდათ. მაღლ-ყურძენას, ზენდროს, მაყვალის და სხვათა მირებიც ახალ, ნორჩ მირებს ანუ ფესვებს იდგამენ. ტყეში სხვა მრავალი ნაყოფი მოიპოვე-

ბა, რომელიც ისევე გემრიელია, როგორც ზემო ჩამოთვლილი ხილი. კუნელისა, ჯახველას და ასკილის წითელ ნაყოფს მარტო ჩიტები შეექცევიან. ამას გარდა, ისეთი სხვა-და-სხვა ფერი ხილიც მწიფდება, რომ მშიერი ჩიტიც პირს არ დააკარებს. ასეთ ნაყოფს მცენარე მარტო თავისათვის გამოიღებს.

ნოტიო ტყის ხევში ბუჩქებს, სხვათა შორის, მრავალი შიშხინას (крушина) ნაყოფი მწიფდება. მათგან მღებავი მშვენიერ მწვანე საღებავს ამზადებს. თუ ვისმე მისი ნაყოფი პირში ჩასცდა, უთუოდ გულს აურევს და პირიდან საქმებას დააწყებინებს. ასეთივე საქმე დაემართება ვინც ნაზის ჩინჩხატის (бересклетъ) ნაყოფს გასინჯავს, რომელიც გარედან ვარდის ფერია, ხოლო შიგნით მოყვითალო, ოქროს ფერისაა. არ იჭმევა აგრედვე სირვაშლას (жаимолость), ურთხელას (тиса) და ჯღარდალას (волчьи ягоды) ნაყოფი. ჯღარდალა ცეცხლივით პირსა სწვავს და ტუჩებზე მუწუკებს აურის კაცს. უფრო მწარე ტკივილების აღძვრა წითელ წინწკლებიანმა ქალიცოდამ იცის (аройникъ). ნაყოფი მტევნებად ჰკიდია ტოტებზე მაშინ, როდესაც მისი ფოთლები დიდი ხანია დასჭკნა და ჩამოცვივდა. იქვე ახლო, მის გვერდზე იზრდება სვინტრის (воронецъ) და ყვავის თვალის ბუჩქნი, რომელთაც მეტად შხამიანი ნაყოფი იციან. სვინტრის ნაყოფი შავია, უსიამოვნო სუნი აქვს და მტევნებად ჰკიდია ბუჩქის ტოტებზე. ყვავის თვალას მუქი, მოლურჯო ფერის ნაყოფი აქვს.

ტყით დაფარულ მთის მწვერვალზე იზრდება საშინელი ბალამწარა ანუ ილი, (сонная одурь) თავის მოციმციმე, შავის ნაყოფით. მონათესავეა შხამიანი ხე-ბალახასი (пасленъ), რომელიც ხშირად ბაღებშიაც მრავლდება, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს ყველა მათის შეჭმისაგან! კი, მართალია, ექიმები მათგან წამალს ამზადებენ, მაგრამ კარგად მყოფ ადამიანს საშინელის წვალებებითა და ტკივილებით სიცოცხლეს ასალმებენ.

**დ. ყიფიანი**

# ვირის თავგადასავალი

## XXIII ცვლილება

(ფრანგულით)

მოვიდნენ და სწორედ იმ საფლავთან ჩამოსხდნენ, სადაც მე ვიყავი. გამიოცდა, როცა ვიცანი საბრალო მირლიფროლის პატრონი თავის ცოლ-შვილით, საშინლად გამხდარიყვნენ და დაქანცულიყვნენ. მამამ შემომხედა და რამდენისამე ხნის შემდეგ სთქვა, მგონი არ ვცდები, ეს ის უმგზავსი ვირია, რომელმაც ბაზრობაზე თითქმის 50 ფრანკი დამაკარგვინა... აი, შე მერალო! მომიბრუნდა და შემომიტია: შენ იყავ მიზეზი, რომ ჩემი საბრალო მირლიფლორი მომიკლა იმ აღელვებულმა ხალხმა, და აღარა მომაგებინე რა, დამაცა, გადაგიხდი! ადგა, მომიახლოვდა, მეც არ ვიძროდი ადგილიდან, ვგრძნობდი, რომ დავიმსახურე მისი წყრომა. გაუკვირდა. არა, ის არ უნდა იყოს, თორემ ასე უძრავად არ იდგებოდა... კარგი ვირი-კია, სთქვა და დამკრა ფერდებზე ხელი. შენ და დედაშენს ლუკმა პური არ მოგაკლდებოდათ, შვილო, ეს რომ ერთი თვე ჩვენთან იყოს, მეც გავიმდიდრებდი კუჭს. გარდავწყვიტე მაშინვე გავყოლოდი ამ კაცს რამდენისამე დღით, რომ ამომეგო მისთვის, რაც ჩემის წყალობით დაკარგეს. როცა გზას გაუდგნენ, მეც უკან მივყევი.

ჯერ ვერ შემამჩნიეს, მასუკან კაცმა რამდენჯერმე მოიხედა და, რა-კი დამინახა უკან მიმდევარი, მაგდებდა, მაგრამ მე მაინც

გავყევი. რა უცნაური ვირია, სთქვა, არა გვშორდება და მოგვდევს! თუ-კი სურს, მივანებოთ თავი, დაე, გვდიოს. მივიდნენ ერთ დუქანთან, სადაც სთხოვეს პატრონს შესვენება და სადილი, თუმცა გამოუტყდნენ, ერთი გროში არ მოგვეპოვება მოსაცემადაო. „გლახებო, აქაც მეყოფიან, ჩემო ძმაო, წადი სხვაგან“. მე მიუახლოვდი მედუქნეს და რამდენჯერმე თავი დაუკარი, ისე რომ სიცილი აუტყდა. —თქვენი პირუტყვი უგუნური არ ყოფილა,—უთხრა მედუქნემ კაცს სიცილით. —თუ გვაჩვენებ მაგის ოინებს, მოგცემთ ბინას და საჭმელს.

— მალიან კარგი, უპასუხა კაცმა:—ჯერ გვაჭამეთ რამე და მერე გაჩვენებთ მის ოინებს.

—შემოდით, შემოდით, ახლავ მოგიტანენ საჭმელს. აბა, მადლენ, მოუტანე სამი კერძი ამ ხალხს.—შემოუტანეს წვენი და მოხარშული ხორცი კომბოსტოთი, რომელიც ხარბად შესჭამეს დამშეულთ, აგრეთვე სალათა და ყველი.

მეც თივა დამიყარეს, მაგრამ თითქმის ზედ არ დავეკარე. მწუხარებით მადა დაკარგული მქონდა. მედუქნემ მოიპატიჟა სოფლელები ჩემ წარმოდგენის სანახავად, ეზო გაივსო ხალხით; მე შუაში ჩავდექი. ჩემი პატრონი, ცოტა არ იყოს, აღელვებული იყო, რადგანაც არ იცოდა, რა ვიცოდი, ან ნასწავლი ვიყავ თუ არა. მაინც მიბმანა: „თავი დაუკარ საზოგადოებას“.

—რას გააკეთებინებ? ჩუმად შეეკითხა ცოლი,—განა ნასწავლია?.

—იქნება იყოს ნასწავლი. მაინც ვირები ჭკვიანები არიან და ამასაც გამოვცდი.

—აბა, მირლიფლორ, წადი და ყველაზე ლამაზ ქალს აკოცე. (ამ სახელმა შემაწუხა და ამოვიოხრე) მივიხედ-მოვიხედე და დავინახე მედუქნის ქალი, ლამაზი, 15 წლის შავგვრემანი გოგო, რომელიც სულ უკან იდგა. მიუახლოვდი და დავადე შუბლზე ცხვირი. იმას მეტად ესიამოვნა და დაიწყო სიცილი.

— გვითხარი, კაცო, წინათვე ასწავლე ეგა? — შეეკითხნენ სიცილით გლეხ-კაცები.

— არა, ღმერთმანი, უპასუხა პატრონმა, მეც არ მოველოდი მაგას.

— აბა, მირლიფლორ, წადი, აიღე რამე და მოუტანე იმ კაცს, ვინც აქ ყველაზე ღარიბია. — მივედი სუფრასთან, ავიღე ერთი პური და ცერემონიით გარდავეცი ჩემს ახალ პატრონს. საერთო სიცილი ატყდა და ტაშის ცემა, ერთმა-კი დაიძახა: — ეს ხომ შენი ნასწავლები არ იქნება, კაცო, მართლა რომ ჭკვიანი ვირი ყოფილა, და კარგად სარგებლობს შენის სწავლით.

— განა მაგ პურს დაანებებ? შეეკითხა ვიღაც მედუქნეს.

— არა, სთქვა მედუქნემ — მაგის პირობა არ იყო, კაცო, მომეც ისევ ჩემი პური.

— მართალია, უპასუხა ჩემმა პატრონმა, თუმცა ჩემმა ვირმა გამოიცნო, რომ ჩემზე ღარიბი აქ არავინ არის, გუშინდელს აქეთ არა გვეჭამა რა, ორი გროშის პურის მეტი, მაგრამ...

— მამა, მიეცი ეგ პური, — უთხრა გენრიეტამ, — ჩვენ ღმერთი კიდევ მოგვცემს.

— შენ ყოველთვის აგრე იცი, გენრიეტა — უთხრა მამამ. შენ რომ ყური გიგდო, მალე გამაღარიბებ.

— ხომ ჰხედავ, რომ არ გავღარიბდით, ღმერთი გვშველის და საკმაო გვაქვს ყველაფერი.

— კარგი, შენი ნება იყოს, ჰქონდეს ეგ პური მაგას.

ამის შემდეგ მიუახლოვდი მედუქნეს და დაბლა თავი დაუკარ. ბოლოს ავიღე ერთი ცარიელი ჯამი და გაუწვდინე საზოგადოებას, ყველამ ჩასდო თავისი წვლილი, წაუღე ჩემ პატრონს და ჩაუცალე ხელში, ჯამი იქვე დავდგი, საიდანაც ავიღე. თავი დაუკარ ყველას და იქით მივდექი. ატყდა ტაშის ცემა; მე ცოტა გავმხიარულდი, კმაყოფილი ვიყავ ჩემის საქციელისა, ახალი პატრონიც დიდად ნასიამოვნები დარჩა. ისიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შესულიყო დუქანში, როდესაც შემოესხვივნენ და სთხოვეს, მეორე დღეს კიდევ გაემართნა წარმოდგენა. მაშინვე დაჰპირდა, რასაკვირველია, და წავიდა თავის ცოლ-შვილით დასასვენებლად. როდესაც მარტონი დარჩნენ, აქეთ იქით მიიხედ-მოიხედეს და ცოლმა უთხრა დაბალის ხმით ქმარს, მე-კი ფანჯარასთან ვიდექ და ყურს უგდებდი.

— მითხარი ერთი, კაცო, საოცარი არ არის ამ ჯირის ამნაირი ადევნება? ფულებიც მოგვაგებინა. აბა, რამდენი გაქვს?

— ჯერ არ დამითვლია, უპასუხა ქმარმა, აი ერთად დავთვალოთ, აჰა, ეს შენ.

— მე 8 ფრანკი და 4 გროში მაქვს, უთხრა ცოლმა.

კაცი. მე მაქვს $7^{1}/_{2}$ ფრანკი, შეადგენს, რას შეადგენს?

დედაკაცი. 8 და 4 იქნება 13. კიდევ შვიდი — იქნება 24, კიდევ 50 იქნება, იქნება 60.

კაცი. რა სულელი ხარ! როგორ თუ 60, სამოცი ფრანკი მაქვს ხელში? აბა, რას ამბობ!.., აბა, შვილო შენ ხომ გისწავლია, შენ უფრო გეცოდინება.

შვილი. კარგი, მამა, თქვენ რა გაქვთ?

მამა. მე მაქვს 8 ფრანკი და 4 გროში, მაგას კიდევ მიუმატე შვიდ ფრანკ ნახევარი.

შვილი. 8 და 4 იქმს 12-ს. ერთიც მიუმატოთ და შვიდიც, იქმს 20-ს. კიდევ ორი, 50 იქმნას... იქმს 52 და ხუთიც.

**ან. ამილახვარი**

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რებუსი

(წარმოდგენილი ვიქტორ ვაჩნაძის მიერ)




***

მე-21 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

კოდოსაც თავის მუცელი აბზუებსო.

მე-22 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

მიმალებული პური ძაღლმაც არ შეჭამაო.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

# დროება

**სურათებიანი დამატებით**

ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 5 მ. 10 კ., ერთის თვით 1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ხელის-მოწერა მიიღება „დროების“ რედაქციაში, (ვანქის დიდი ქუჩა № 12); წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია-ში შ. ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნ. ქარვასლა).

---

**ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1909-Й ГОДЪ**

на газету

# ЗАКАВКАЗЬЕ

**(годъ второй)**

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**

| **Съ доставкой въ Тифлиссѣ:** | | **Съ пересылькой въ другіе гордоа:** | |
|---|---|---|---|
| за годъ.. | 6 руб.—к. | за годъ. | 8 руб. — к. |
| за полгода. | 3 руб 50 к. | за полгода | 4 руб. 50 к. |

Помѣсячно повсуду. 75 коп. Отдѣльный №—5 коп. За границу вдвое.

За перемѣну адреса городскаго на иногородній—1 р., съ иногороднаго на иногородній—50 коп.

*Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва.* РЕДАКЦІЯ ОТКРЫТА отъ 9-ти час. до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня. **Редактор-Издатель Г. І. Амираджиби**

---

ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1909-Й ГОДЪ

на газету

# НОВОСТИ ЗАКАВКАЗЬЯ

ПОДПИСНАЯ ПЛАТА: { въ Тиф. за г.—6 р., „ 1 года 4 руб.)
въ провинціи „ 8 „ „ „ „ 5 руб.) }

Помѣсячно—75 коп.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: за мѣсто занимаемое строкой петита передъ текстомъ— 10 коп. и послѣ текста—5 коп. Извѣщенія о зрѣлишахъ печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и по 10 коп.—на 4-й страницѣ. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ—8 к. строка, въ отдѣлѣ "Сторонноее сообщеніе"—10 коп. строка.

Адресь конторы и редакціи: Эриванская площ., д. Кредитн. Общ. (общій подъѣздъ съ Торі. д. Нейшелеръ)

Контора открыта ежедневно отъ 9 ч. утра до 3 ч. дня и отъ 7 до 8 ч. веч.

*Редакторъ принимаетъ ежедневно только отъ 2—3 ч. дня.*

Редакторъ П. Готуа.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული" მოზრდილთათვის.

**პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი" (ავენარიუსისა)**

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

საზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

## ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

---

## ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**